ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01190241735**
თარიღი: **24/01/2019**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 27 დეკემბრის თქვენი N 17-0118361239-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში კალოუბნის ქუჩა N40-ში (ნაკვ. 21/023) (ს/კ 01.19.20.021.099) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში (AR1645246) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს ხარვეზებს. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული **მოძრაობის ორგანიზების სქემა.** სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა იყოს წარმოდგენილი წარმოდგენილი როგორც CD დისკზე ჩაწერილი .dwg ფორმატის სქემის ფაილი, ისე A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (ურბანულ ან არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი.

შესაბამისად სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორების შემდეგ. ხარვეზები წარმოდგენილია დანართის სახით.

დანართი 1: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

შენიშვნები:

არ არის წარმოდგენილი:

- ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზების სქემა.
- გზების და კვანძების დატვირთულობის კოეფიციენტები მიმართულებების მიხედვით.

გამოსასწორებელია:

- გვ. 30, 31, 32-ზე მოცემული რუკები უნდა იყოს ერთიანი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვის რუკა.
- გვ.17-ზე A, B და C-ს მნიშვნელობები ფორმულაში არ ემთხვევა ფორმულამდე წარმოდგენილ ამავე მონაცემებს (მაგ: λ-ს მნიშვნელობა მიღებულლია 0.48, გამოანგარიშებისას კი - 0.2). ამავე დროს, ფორმულაში, e-ს მნიშვნელობა ხარისხში უნდა ადიოდეს და არ მრავლდებოდეს. არ არის გამოანგარიშებული დატვირთულობის კოეფიციენტები მიმართულებების მიხედვით.